

ხალგაზრდა ვეროელი

18

მაისი
ზაზათი

1991

№ 57

(11690)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული
1921 წლიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კპბ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას განცხადება განსჯის ინიციატივის საშუალებებისათვის

როგორც მოვისმინე ტელევიზიით, პრეზიდენტობის
ფუნქციის მძიმეობა მიწვევს ტელედეკლარაციას. უნდა
განვაცხადო, რომ ტელედეკლარაციის ყოველთვის მონა-
წილობით თანაბარ პირობებში მყოფი პირები. რამ-
დენადაც ვარ ფაქტობრივი პრეზიდენტი, ვერ გავუთა-
ნაბრებ ჩემს თავს პრეზიდენტობის მძიმეობებს, რომე-
ლნიც ესოდენ მომრავლდნენ ჩვენში, მითუმეტეს ისე-

თებს, რომელნიც მოსკოვის სპეცსამსახურებთან არიან
დაახლოებული, ჩემმა ასეთმა დეკლარაციამ შეიძლება
ზიანიც მიყენოს სახელმწიფოს. საერთოდ კი ჩემს
თანხმებებს მე ვეკამათები მხოლოდ საქმით.

ზ. გამსახურდია.

თბილისი.
1991 წლის 16 მაისი

სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრს ზ. კუპონს

სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს
შინაგანი ქარის ქ. ცხინ-
ვალში დისლოცირებული ერთ-
ერთი ნაწილი, რომელიც ახორციე-
ლდება „რეიდს“ ყოფილი სამ-
ხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლ-
ქის ფარგლებში გარეთ, 13 მაისს
შეიჭრა გორის რაიონის სოფელ
დისევეში და შეკრებილ მცხოვრე-
ბთა თვალწინ ჩამოგლიჯა და შე-

ურაცხუო სკოლის შენობაზე აღ-
მართული ერთეული დროშა.
თქვენდამი რწმუნებული ქარ-
ის ნაწილები, რომლებიც არაერთ-
გზის ავიწროებენ მშვიდობიან
მოსახლეობას, სტაცებენ ქონებას,

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი 1991 წლის 16 მაისი

სსრკ თავდაცვის მინისტრს დ. იაშოვს აპიარკავასიის საზღვარო ოლქის სარდალს ვ. კაბრიკაევს

18 მაისს, ქ. გორში ქარისკა-
ცები გამოეციდნენ ბავშვებს, რო-
მლებიც ფეხბურთს თამაშობდნენ
საზღვარო ქალაქის ტერიტორია-
ზე, შემდეგ კი ავტომატებით ცე-
ცლი დაუშინეს მათ, რის შედე-

გადაც მოკლულ იქნა 14 წლის
ბიჭი ზაზა კაპაშვილი.
საქართველოს რესპუბლიკის ხე-

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

თბილისი 1991 წლის 16 მაისი

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეზიდენტის განცხადება

როგორც ვიუწყებოდათ, 1991
წლის 12 მაისს ქ. თბილისში ეკ-
ონომიკისა და მართვის ინსტიტუ-
ტში განლაგებული იმ ინსტიტუ-
ტის დირექტორის — საქართვე-
ლოს რესპუბლიკის პრეზიდენტო-
ბის კანდიდატის ვალერიან ალვა-
ძის საარჩევნო კომისიის შტაბ-
ბინიდან პიროვნების დადგენის
მიზნით საქართველოს შინაგან საქ-
მეთა ორგანოების მუშაობაში წა-
იყვანეს ოთხი პიროვნება მინე-
ილ პეტრეს ძე შაქინაძე, ვალე-
რი ვლადიმერის ძე კახაიძე, ალ-
ექსანდრე ვლადიმერის ძე იური-
ნი და სერგი ვიქტორის ძე პრი-
დიუსი, რომლებმაც განაცხადეს,
რომ არიან სსრკ კავშირის შინა-
გან საქმეთა სამინისტროს მოს-
კოვის სისხლის სამართლის სამ-
მეზრო სამმართველოს მუშაკები,
ამ სამმართველოს მუშაკები,
ვინაშე არიან თანამშრომლები
ვინაშე არიან თანამშრომლები
და რომ დადებული ხელშეკრულების სა-
ფუძველზე მათ იკისრეს საქართვე-
ლოს რესპუბლიკის პრეზიდენ-
ტობის კანდიდატის ვალერიან
ალვაძის დაცვა.
მოსკოვის შინაგან საქმეთა სა-
მმართველოს სისხლის სამართ-

ლის სამმართველოს ხელმძღვანელმა
დადასტურა, რომ ზემოთ ჩამო-
თვლილი პირები ნამდვილად არ-
იან ამ სამმართველოს მუშაკები
და რომ მას სსრკ კავშირის შინა-
გან საქმეთა სამინისტროს სისხ-
ლის სამართლის მთავარი სამმე-
ზრო სამმართველოს უფროსისა-
გან ნაბრძანებით პეტრეს ძე შაქინა-
ძის მიხედვით ოთხი საიმიდო, კარგად
მოზადებული თანამშრომ-
ელი სპეციალური დავალების შე-
სასრულებლად.
როგორც ჩვენი საზოგადოებრი-
ობისათვის არის ცნობილი, მოს-
კოვიდან მოვლენილი ოთხივე
მოქალაქე ამოცნობის შემდეგ
გათავისუფლებულ იქნენ, მაგრამ
რესპუბლიკის შინაგან საქმეთა
ორგანოების მუშაკებს შეეპარათ
ეგები ამ პირების გულწრფელ-
ობა და მოსკოვის სისხლის სამ-
ართლის სამმართველოს უფროსის ონ-
ფორმაციის სისწორეში. ამიტომ
სხვადასხვა საიმიდო წყაროების
გამოყენებით მოხდა მათი ნათქ-
ვამის გადამოწმება.
დადგინდა, რომ მოსკოვის ში-
ნაგან საქმეთა საქალაქო სამმარ-
თველოს სისხლის სამართლის სა-

პირუტყვს და სხიდან სხვა ძა-
ლადაც, ანლა უკვე მთელი ქა-
რთველი ხალხის თავმოყვარეობ-
ისა და ღირსების შეურაცხყოფა-
დღე მივიდნენ.

მოვიტოვეთ შეწყდეს სსრკ ში-
ნაგან საქმეთა სამინისტროს ძა-
ლთა მიერ უმსგავსებელი ჩად-
ენა, პასუხი მოეთხოვოთ სამხედ-
რო მოსამსახურეებს, რომლებსაც
ბრალი მიუძღვით საზოგადოებრი-
ვი წესრიგისა და კანონიერების
დარღვევაში.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

ლმძღვანელობა და ხალხი აღშ-
ფოთებული არიან ამ გაუგონარი
ბარბაროსობის აქტით, მოითხოვ-
ენ სასწრაფო გამოძიებას და და-
მნაშავე პირთა დასჯას, წინააღ-
მდეგ შემთხვევაში მთელი მორა-
ლური და იურიდიული პასუხის-
მეგებლობა დაგეისრებათ თქვენ.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია.

მეზრო სამმართველოში იმ ოთ-
ხი პიროვნებიდან არც ერთი არ
მუშაობს. ამ სამმართველოს ერთ-
ერთი ხელმძღვანელი მუშაობს
ცნობით მოსკოვის სისხლის სამ-
ართლის სამმართველოში არავითარი
კოორდინაციის ან სხვა კერძო სა-
მმართველო სამსახური არ არსებობს.
ამავე სარწმუნო წყაროების
თანახმად, მოსკოვის სისხლის სა-
მართლის სამმართველოს სახელით
სპეცდავლების შესასრულებლად
ზშირად ინიცირებინ საბჭოთა კა-
პიტალის სახელმწიფო უშიშრო-
ების კომიტეტის ერთ-ერთი გან-
ყოფილების თანამშრომლები.
თბილისში ჩამოსულნიც ამ კა-
რტეგორიის განუყოფელია.
სსრკ კავშირის სახელმწიფო
უშიშროების კომიტეტის მიერ მა-
თთვის მიცემული სპეცდავლება
ხომ არ მიანიშნებს, რომ ისინი
იმ პოლიტიკური ბრძოლის მო-
წოდებნი არიან, რომელსაც ცე-
ნტრი საქართველოს ახალი ზე-
ლისუფლების წინააღმდეგ ეწევა.

საქართველოს რესპუბლი-
კის შინაგან საქმეთა სამი-
ნისტროს პრეზიდენტი.



დავეხმაროთ მთას

რესპუბლიკური გაერთიანება „საქულტსპორტსაქონლის“ და
საქართველოს საზოგადოებრივი თავდაცვის შტაბის თანამშრომლებმა
მიწისძვრით დაზარალებულ საჩხერეში, ამბროლაურში, ონში, ამ
რაიონების სოფლებში გაგზავნეს თითქმის სამასი ათასი მანეთის
სურსათი, ლოჯინი, სპორტული ფეხსაცმელი და კარვები.

— ჩვენი კოლექტივი ასეთ დახმარებას უოველთვის გაუწევს და-
ზარალებული რეგიონის მოსახლეობას, — თქვა სავაქრო გაერთიან-
ების ხელმძღვანელმა თამაზ დაუშვილმა.

სურათზე: ამბროლაურის აეროპორტში: ონის რაიონის სოფელ
სორში ჩაიტანეს მუშაობის დახმარება.

სამრტო ელიშვიტის ფოტო (საქინფორმის ფოტოკონიქა).




დიდოსტატის იუბილესთან დაკავშირებით

რესპუბლიკის პრესამ ფართოდ
ინიშნა დიდი ქართველი მწერ-
ლის კონსტანტინე გამსახურდიას
დაბადების დღე — 15 მაისი. სა-
მწიფოროდ, როგორც ზოგიერთ
განხილვაში, ისე საქინფორმის მა-
სალაშიც დაშვებულია უზუსტო-
ბა, თითქმის წლებს მას 100
წელი შეუსრულდა. ეს ცნობა
ეშვარება ძველ ლექსიკონებსა და
კალენდრებში მოცემულ მწერლის
დაბადების თარიღს. თვით ბატონი
კონსტანტინე კი ბრძანებს:
„როგორც ამას წინათ დადგინდა,

დაბადებულად 1893 წელს და
არა 1891, როგორც ეს აქამდის
ინიშნული იყო ლიტერატურულ
ლექსიკონებსა და კალენდრებ-
ში“. ჩვენი დიდოსტატის დაბადე-
ბის ამ ზუსტი თარიღის შესახებ
მითითებულია კიდევ ქართულ
ენციკლოპედიაში.
ისე კი, კონსტანტინე გამსახ-
ურდიას სახელთან შეხვედრა ყო-
ველთვის დღესასწაულია ქართვე-
ლი კაცისათვის.

საპინფორმ



გაზი სიგელოა საპარტიოებს

გატონ ზვიად გამსახურდიას სიტყვა სრულიად საქართველოს საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე

კვირფასო მავობრებო!

ასეთი საზოგადოების შექმნას უნდა ჰქონდეს უფინარეს ყოვლისა, პრაქტიკული შედეგი, კარგი მშენებელი სიტყვები. მაგრამ მშენებელი საქმეები უფრო გვირგვინდება. ამიტომ მე პირველად უნდა ვთქვათ, რომ კახეთის საზოგადოება „კახეთის“ პირველ ყრილობაზე არ შეიძლება. მას უნდა ჰქონდეს პროგრამა, თანაც დეტალური პროგრამა და ის ჩვენ ერთად უნდა შევიქმნათ. ეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხია.

მოგეხსენებათ, მეგობრებო, რომ კახეთი არის ბურჯი და ხმელი საქართველოსი. აქ რა მდგომარეობაა არის, ყველა კარგად იცის, აქ კი არა — ყველაფერი კომუნისტებმა ჩვენ დაგვიტოვეს დაგვიტოვეს, დატოვეს, განადგურებულს საქართველო. ამას, მოდით ნულად დაგვიტოვეთ. ყველაფერი საფრთხეშია, ყველაფერი, მათ შორის კახეთი და მისი უმთავრესი დარგი — მევენახეობა. უმთავრესი ის არის, თუ რას აკეთებდა კომუნისტური რეჟიმი: რომელ კუთხესაც რა ჰქონდა ყველაზე მთავარი, იმას დაუმინდებდა და მის მოსაზრებას ლაშობდა. აი, დაუვიწყრად, ბოლო ხანებში განსაკუთრებით, როგორ გეგმავდნენ მიმდინარეობდა მევენახეობის დაღუპვა კახეთში. ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ მევენახეობა მოსაზრებოდა, განადგურებულიყო. შედეგად მივიღეთ ის, რომ შრომათა მემოი კახელი კაცი, ვასა რომ მივიღეთ დასტრიალებდა, გადაუწყვეტეს სახანოებზე, სახანოებს მოყვანა აღვივალა, ზოგიერთები მოიყვანდნენ სახანოებს და იყვნენ მთელი დღე ხანძარში. აი, ამისკენ მიჰყავდათ კახეთი კომუნისტებს: კაცს შრომაზე გული აუღრეს.

მთავარი დანაშაული კომუნისტური რეჟიმისა არის, რომ შრომა და თავისი საყვარელი კულტურა შეაძულა ქართველ კაცს. თქვენ იცით, რომ ვაზი შელოებით მოსავლულია და სახანოებს კი არაფერი არ უნდა — წყალი მოუშვი, თუ გაქვს, და გათავდა უფინარეს, ყიზილაშებს, საქართველოს რომ შემოგონდნენ, განა ეს არ ჰქონდათ მიზნად დასახულს? აქამდე რომ შემოგონდნენ, მაშინ დაბასი თუ სხვა დამპყრობელი, პირველად ვენახს ჩეხავდა. რა-რამ? იმისთვის, რომ იცოდნენ — ამით საქართველოს განადგურებდა. ჩეხები და მევენახეობა თუ არ იქნება, საქართველოც არ იქნება. ჩვენნი ძირითადი სტრატეგიული დარგი მევენახეობაა, ღვინოა, ჩვენს სოფლის მეურნეობაში. ამას ვინ არაფერი არ უნდა იდგეს. ჩანს პრიორიტეტი კომუნისტების მოვლილია. კი, ბატონო, ესეც საქართველო, მაგრამ მთავარი მიზნი მიღებულია. მათ კი რა ქნეს — შეიგნებოდნენ და მევენახეობას უბოძებდნენ ძირს: აქ სივალბეთი, აქ შაქრით ღვინის კეთება, ყოველგვარი ზალსიფიკაციათა, ქართული ღვინოს სახელი გაუტყობეს და მევენახეობას ლაშვარი ჩხსცეს. აი, სწორედ ამიტომ, საზოგადოება „კახეთის“ მიზანი უნდა იყოს მევენახეობის აღორძინება. თქვენს დროშას ვაზი უნდა ეხატოს, ემბლემაზე. ცხენი რომ არის გამოსახული, ვაზი? იქვე უნდა იყოს. ეს არის ქართველობის მთავარი მცენარე. ვაზი ხომოლო საქართველოსი და კახეთისა. ამიტომ ვაზი უნდა იქონოს თქვენს დროშაზე და ვაზის ტოტემი უნდა დაისახოს უბრველს მიზნად. სხვანაირად ამ საზოგადოების არსებობას არავითარი აზრი არა აქვს.

მეორე და უმთავრესი მიზანი

ისევე მეღვინეობაა. მეღვინეობა მეტად შემაშფოთებელ მდგომარეობაშია, მეგობრებო. აი, ახლა ღვინო „სამება“ ახსენა ბატონმა ელვინდმა, მე ზუსტად ვიცი, რომ ეს ძვირფასი ღვინო ბისკვიტებზე იცვლება. შეიძლება ასეთი უკონტროლოება? შეიძლება ღვინო და ბისკვიტი შეადარო ურთიერთს, ან ლუღზე გაცვლა ღვინოსა? როდის იყო, რომ ქართველი კაცი ღვინოს ლუღზე ცვლიდა? მოდით, მეგობრებო, ეს საზოგადოება გახდეს ყველაზე ამის მკონტროლებელი, რათა ანარქია მოსპოს. კომპარტიკები კარგია, მაგრამ საქითა კონტროლი. კომპარტიკები იღებენ ამ შესანიშნავ ღვინოს, აგზავნიან და რაღაც ლითონზე ცვლიან კრასნოიარსკში. ის ლითონი ვის სჭირდება, არ ვიცი, ალბათ, სასაღებო აშენებენ. ამას კონტროლი უნდა, თორემ ყველაფერი მიშვებულა და იღუპება, სახელმწიფოს ყველაფრის კონტროლი გაუქმდება. ხანით, რა დღეში ვართ: იქით ომი, აქით ომი, შიგნით ომი, გარეთ ომი, ყველაფერი ომი. შევექმნათ ძლიერი საკონტროლო ჯგუფები, რომ კახეთში ეშვილოს მევენახეობას, ეშვილოს მეღვინეობას და დაუბრუნდეს თავისი სახელი ყველაფერს.

კიდევ რა არის მთავარი? ეკოლოგია. გთხოვთ, ამ დარგში მომზადდეს დეტალური პროგრამა, სადაც ძირითადი ადგილი დაეთმოდა მევენახეობის აღორძინებას, მეღვინეობის აღორძინებას და ეკოლოგიას. ეკოლოგიური თვალსაზრისით კახეთი კატასტროფულ მდგომარეობაშია. აი, უგუნური გეგმა რომ იყო — რაკეტებით სეტყვის წინააღმდეგ. ბოლო. ამას მოჰყვება ეკოლოგიური კატასტროფული შედეგები: იწმინდება კახეთი, იწმინდება წყალი, მიწა. ეს უნდა აიკრძალოს, რაკეტას ერთგან ესერიან — მეორე ადგილას მარცხ მოდის სიტყვა და თანაც უარესი. ამიტომ ეს უნდა აღმოიფხვრას. მე გვინდა, მტერი ამას შეგნებულად აკეთებდა. მტრის ხელში იყო სახელმწიფო მართავდა და ეს შეგნებულად დაგეგმეს, ანდა, თუნდაც გიგანტური ჰესები. ესეც ჩვენ ბუნების, ეკოლოგიის წინააღმდეგ იყო მიმართული. ჩვენ ახლა გადავდევართ პარტია ჰესებზე, რადგან გიგანტური ჰესები საშიშია. ამას ყველაფერი უნდა მიხედვად. და ეს ყველაფერი პროგრამით უნდა გავითვალისწინოთ.

წესდება არაფერია ნათქვამი დემოკრატიაზე, ეს კი აუცილებელია. და ბოლოს, რა დღეშია ძეგლები. დღეს აქ მხოლოდ ერთმა ბოლშევიკულმა ქალბატონმა მახსენა ეს. სიტყვით არ არის დახვეწული. ჩამოტყალი ალავერდი რომ დგას? განა მთელი კახეთი არ ეხება ეს? მთელი კახეთი და მთელი საქართველო უნდა დაირახმოს, რომ აღვადგინოთ კახეთის უნიკალური ძეგლები. დღეს ასე ხამარჩეხილი მდგომარეობაში რომ არიან. პირველი რიგში ალავერდის ტაძარი, შობდის ეკლესია, სხვა ქმნილობები: ყველაფერი ის პროგრამაში უნდა გავითვალისწინოთ და სტრატეგიული ამოცანად დაისახოს.

და ბოლოს, გისურვებდით, ყოველივე ის გააგრძობთ იმდენით. პროგრამაში პირველ მიზნად საზოგადოებამ უნდა დასახოს ამ კუთხის — კახეთის ხსენა, გადაარჩინა. საქართველო მთლიანად დაღუპვის პირას არის და გადასარჩენია, კომუნისტებმა ის კატასტროფულად მიიყვანეს. ყველა ქუთხეს გადაარჩენა უნდა — ცალკე კახეთს, ცალკე სვანეთს და ასე შემდეგ. გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას, ვიმოქმედოთ ერთად ამ მიმართულებით.



აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჯეიმს ბეიკერის რიგით მეოთხე სამშვიდობო მისია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, შეიძლება ითქვას, უშედეგოდ დასრულდა. მან ვერ მიაღწია შეთანხმებას სირიასა და ისრაელს შორის რეგიონალური სამშვიდობო კონფერენციის მოწვევის საკითხზე. სირია მოითხოვს, რომ სამშვიდობო პროცესში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და, გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეებს აუცილებლობის შემთხვევაში ჰქონდეთ მისი ხელმძღვრელ მოწვევის უფლება. ისრაელი, თავის მხრივ, უარს ამბობს ორივე ამ პირობაზე. არცერთმა მხარემ არ მოისურვა კომპრომისზე წასვლა და ამის გამო არაბეთ-ისრაელის დიალოგის დაწყების საკითხი კვლავ ლიდ რჩება.

საფრანგეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ჟაკო შირაკმა ხაზს უსვამს, რომ საფრანგეთს უნდა დაეხმოს მისი წინამორბედის — მიშელ როკარის მინისტრთა კაბინეტში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები მოხდეს. მათ შორის, ვინც შეინარჩუნა თავისი პოსტი, არიან საგარეო საქმეთა მინისტრი როლან დიუმა და თავდაცვის მინისტრი პიერ ჟოსე. ამასთან, ე. კრესონმა ახალ მთავრობაში შეიყვანა ხუთი მინისტრი ქალი. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ მან თქვა, რომ ყურადღებას გაამახვილებს უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ბიუჯეტზე და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე, მათ შორის უმუშევრობის პრობლემაზე.

ედიტ კრესონის დანიშვნა პრემიერის პოსტზე ფრანგებისათვის ნამდვილ სიურპრიზად იქნა. იგი პირველი პრემიერ-მინისტრი ქალია საფრანგეთის ისტორიაში. ფრანსუა მიტერანთან მას ღიბი ხნის მკდრო თანამშრომლობა აკავშირებს. ედიტ კრესონი 57 წლისა, სხვადასხვა დროს იგი იყო ევროპის საქმეთა, საგარეო ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის მინისტრი, გამორჩევა თავისი შრომისმოყვარეობით, გამჭრიახი გონებით და ძლიერი ხასია.



სხვა გზებებიდან

ჯორჯ გუში არ აღასტყვანს

თეთრ სახლში გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშიმ პეტიციას: გასულ შაბათს თქვენსა და გორბაჩოვს შორის შედგარი საუბრის შემდეგ საბჭოთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ამ ზაფხულს შედგება ამერიკა-საბჭოთა კავშირის უმაღლესი დონის შეხვედრა. შეგიძლიათ თუ არა ამის დადასტურება?

ჯორჯ ბუშის პასუხი ასეთი იყო: უპირველესად მე სწორედ ამის დადასტურება არ შემიძლია. თარიღი დადგენილი არ არის. არ არსებობს არავითარი მოლაპარაკება. მე ვასაგებდ მთავარწინა, რომ გარკვეული პირობების შემთხვევაში, ვისურვებდი მოსკოვში გამგზავრებას. მინდა, მჯეროდეს, რომ ეს განხორციელდება („ინტერვესტა“ № 115).

დანაშაულმა უმაღლეს წარმომადგენელმა

სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილის გენერალ-პოლკოვნიკ ივან შოლოვის განცხადებით, დანაშაულის დონემ სსრკ კავშირში უმაღლეს წიგნტოს მიაღწია (ასეთი მდგომარეობა

ათით. როგორც ფრანგული პრესა აღნიშნავს, საქმელო შესაძლებელია, რომ მისი დანიშვნის შემდეგ არ მხოლოდ ინვლსივლებს, არამედ ფრანგულსაც უყავდეთ თავისი „რკინის ლედი“. არ გამოირჩევენ მისი კანდიდატურის წამოყენებას მომავალში საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტზე.

ყოფილი საბჭოთა საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე ახალი ინიციატივით გამოვიდა საბჭოთა კავშირში ეთნოკონფლიქტების მოგვარების საკითხზე. მისი აზრით, ეთნოკონფლიქტების გადაჭრაში უნდა ჩაერთოს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საფრანგეთის კონგრესში გამართულ პრეს-კონფერენციაზე (როგორც იცით, ის კვლავ შეერთებულ შტატებში იმყოფება), ე. შევარდნაძემ თქვა, რომ მის წინადადებას, ალბათ, უარყოფითი რეაქცია მოჰყვება საბჭოთა მთავრობის მხრიდან, მაგრამ მოსკოვმა უნდა გამოახდეს გონივრული გზები ამ საკითხის გადასაჭრელად. მისი თქმით, საბჭოთა კავშირმა შეძლო საერთაშორისო კონფლიქტების მოწესრიგება, მაგრამ შინაურ პრობლემებს ვერაფერი მოუხერხა, ამიტომ სასებთ შესაძლებელია ქვეყნის ზოგიერთ რაიონში გაერთიანებული მოსახლეობის გაგზავნა და ეს არავითარ შემთხვევაში არ დაარღვევს საბჭოთა კავშირის სუვერენიტეტს.

უკანასკნელ ხანს სულ უფრო ხშირად გაისმის ხმები ე. შევარდნაძის გაერთიანებული მდივანად არჩევის თაობაზე. ძნელი სათქმელია, აირჩევს თუ არა მას გაერთიანებული მდივანი, რომელიც უნდა დაეხმოს საბჭოთა კავშირის კენჭისყრით; ფორმალურად, ამას არაფერი უშლის ხელს, მაგრამ არსებობს გაერთიანებული მდივანი, რომლის თანახმად, გენერალური მდივანი არ უნდა იყოს უმნიშვნელო საბჭოთა 5 მუდმივი წევრიდან რომელიმე მოქალაქე (უმნიშვნელო საბჭოს მუდმივი წევრები არიან სსრკ, აშშ, ლიბე ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), ამასთან იგი სრულყოფილად უნდა ფლობდეს გაერთიანებული საბჭოთა ენას — ინგლისურს და ფრანგულს. გარდა ამისა, არსებობს კონტინენტების თანამდებობის დაუფრთხილები კანონი. პერეს დე კუელითა, როგორც იცით, პერულია, ამჯერად გაერთიანებული მდივანის წარმომადგენლის რიგში.

ირინა თევზორაშვილი

დმივ საცხოვრებლად დარჩენას. („ინტერსტა“ № 115).

შეიძინა ეროვნული უსაფრთხოების საზოგადოება

აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ა. მუტალიბოვის ბრძანებულებით შეიქმნა ეროვნული უსაფრთხოების საბჭო. პრეზიდენტმა შექმნილი ამ საბჭოს შემადგენლობაში მინიჭა რესპუბლიკის თავდაცვის, მისი სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობის დაცვისათვის განსახორციელებელი რეკომენდაციების შემუშავება, ეკონომიკური უსაფრთხოების მხარდაჭერა და საგანგებო სიტუაციების შედეგების დაძლევა.

ახალი საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მთიანი ყარაბაღში, სამართალდაცავი ორგანოების ხელმძღვანელები, სამხედრო კომისარი და აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი („ტურულ“ № 112-112).

რა ღირს ვადაბასული ნამსხვარი

რა ღირს და... 200 ადამიანის, მათ შორის 79 ბავშვის შერყეული ჯანმრთელობა. სწორედ ამდენი მოწამული ადამიანი მოხვედა ლუცის საავადმყოფოში მას შემდეგ, რაც მათ „გაბედეს“ ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში შექმნილი ვადაბასული ნამცხვრის გასაცხვა (კომსომოლსკია პრავდა“ № 109).

„თამარს პაპობაში მეფესა“ ...



კომერციულმა ფირმა „ისტორიკოსმა“ გამოასტრუფესორ რომინ მეტრეველის მონოგრაფია „მეფე თამარი“ (რეცენზენტები არიან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ლორთქიფანიძე და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ზ. რატიანი). ეს არის პოპულარული ვინთ დაწერილი საინტერესო ნაშრომი, სადაც გადმოცემულია საქართველოს ყველაზე უფრო პოპულარული მეფის — თამარის ცხოვრება და დღეწილი. ყაფაზთა და ქართველთა, რანთა, კანთა და სომეხთა მეფე და დედოფალი, შარვანში და შაპანში და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თუთმამყრობელი — ასე იწოდებოდა სრულიად საქართველოს მეფე თამარი.

წიგნში ღრმად და საინტერესოდაა განხილული თამარის ბიოგრაფიის წყაროები, ისტორიოგრაფია, საქართველოს სოციალური პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება XII საუკუნის 30-იან წლებამდე, მეორე მეტე საუკუნის

30-იან 70-იან წლებში სამეფო გვარის წევრებს შორის ატეხილი დავა სამეფო ტახტის დასასაკუთრებლად, ორბელიანი ამბობს, შემქორისა და მსიანის ბრძოლები, ტრაპიზონის სამეფოს შექმნა, დამოკიდებულება ჩრდილოეთის ზალხებთან, თამარის მეგობრული ურთობა, თამარის სახე ხალხურ შემოქმედებაში. პოეტის როინ მეტრეველს კოლოსალური შრომა გაუწევია, შეუსწავლია ძველი თუ ახალი ისტორიკოსების თხზულებებში შემორჩენილი თამარის ცხოვრების ამსახველი ფაქტები როგორც ქართულ, ისე სომხურ აღმოსავლურ და ევროპულ ენებზე, ზეპირსიტყვიერებაში შემონახული თქმულებები თუ გადმოცემები თამარზე, წერილობითი, აქტივობები და ეპიგრაფიული და ნუმიზმატიკური მასალა და მათი შეკრების საფუძველზე გამოუტანა საყურადღებო დასკვნები. წიგნში ჩართულია საილუსტრაციო მასალა, რომელიც სასურველი იყო უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე ყოფილიყო შესრულებული.



„ეს! ამერიკა, ამერიკა“

საანდამის რაიონის მთავარი სასამართლო

შესანიშნავად გამოიჩინა ჩვენი კულტურის წარმომადგენლები. დიდი წარმატება ხვდა საქართველოს საზღვრის სიღრმისა და ციკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლს, ბნ ჯემალ ჰუსეინის ხელმძღვანელობით.

27 თებერვალს სან-დიეგოში, ჩვენი სახანავად ვაშინგტონიდან ჩამოვიდა ბ-ნი ლადო ბაბიშვილი. მე იგი თრი წლის წინათ გავიცანი ვაშინგტონში, როცა ოსტრევიტის ანსამბლ „მელესას“ ვახლდი ფოლკლორის ფესტივალზე. მას შემდეგ ბ-ნი ლადოსთან მაქვს მისწრაფება. ბატონ ლადოსთან ერთად, ჩვენთან მოვიდა მისი მეგობარი ახმედი, ძველი ემიგრანტი ხარკოვიდან, რომელიც ომში ტყვედ ჩავარდა და მერე იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებინა. ახმედი სან-დიეგოში ცხოვრობს, ხალისიანი კაცია და მშვენიერი მოსაუბრე. ჩვენ ქალაქგარეთ გავისივრეთ. ვინახეთ ძალიან ლამაზი კურორტები, არაჩვეულებრივად მოწყობილი.

ერთ თვალწარმტაც ვილაში თურმე ცხოვრობდა ერთი მილიონერი ქალი. მას 10 კატა ჰყავდა. სიკვდილის წინ მთელი თავისი ქონება ანდრძით კატებს დაუტოვა. კატებს დაუნიშნეს მიმღველები, რომლებიც მათ მაღალ დონეზე ემსახურებოდნენ. ახლანახან ბოლო კატა გარდაიცვალა და მთელი ქონება მთავრობას დაერჩა.

ჩვენ რესტორანში ავედი, იქიდან მთელი სანაპიროს ხედი იშლებოდა ჩვენს თვალწინ. „პირველად ქართველებს მალტაუზების საკონცერტო ბანაკში შევხვდით, მას შემდეგ ამ ხალხს უდიდეს პატივს ვცემ, — თქვა ახმედმა და ერთი ამბავი მოიგონა: — მალტაუზებში საშინელ დღეში ვიყავით, გერმანელები საქმელს იმდენს გვაძლევდნენ, რომ შიმშილით არ მოვძვედარიყავით. ჩვენთან იყვნენ ქართველები, შესანიშნავი ვაქაუციები გიორგი და შოთა, სამწუხაროდ, მათი გვარები არ მახსოვს. როცა ძალიან გვიკირადა, ქართულ სიმღერას წამოიწყებდნენ და ყველას გაამხნევედნენ, რამდენჯერ თავიანთი ისედაც მცირე ულუფა გაკირვებულისათვის გაუნაწილებიათ. ჩვენ სულ ერთად ვიყავით.

ერთ ღამეს, ერთი ჩვენი ნაცნობი ებრაელი ატორი: „აი, იმ რუსმა იცის, რომ მე ებრაელი ვარ და ყოველ დღე მემუქრება, თუ მთელ ჩემს ულუფას არ მივცემ, გერმანელებთან დამბეზლებს და იმშაბლე დამხვრეტენ, უკვე ორი კვირაა ლუქმა არ მიჭამია და ხვალაც უნდა წამართვას საკმელო“. ებრაელი ცხარედ ტროდა, შიმშილისაგან ფეხები უკვე დასივებოდა, რაც იმის მომასწავებელი იყო, რომ დიდი დრო ასო დარჩნოდა. ჩვენ ავენთეთ. შოთამ და გიორგიმ უთხრეს: „არ მისცე საქმელო, მაგას ჩვენ მოვულოთ“. მერე შოთა მივიდა იმ რუსთან და რაღაც ელაპარაკა.

მეორე დღეს ებრაელი დავაპურეთ და რაც შეგვეძლო მოვუარეთ. ნაშუადღევს ორმა გერმანელმა ჩვენი ებრაელი წაიკვანეს და დახვრეტეს.

იმ ღამეს, როცა ყველამ დაიძინა, გიორგიმ და შოთამ ის ახმედი რუსი გაუღდეს. დილით, როცა გერმანელებმა სამუშაოზე გაგვარყვეს და მიცვალებული ნახეს, არც უკითხვეთ რისგან გარდაიცვალა, ისე ავიდეს პატივებს და კრემატორიუმში წათარიეს.

...სალამოს, სან-დიეგოში ჩვენი პირველი კონცერტი გაიმართა. დარბაზში 2300 კაცი იჯდა, კონცერტზე მოვიდა ქალაქის საუკეთესო საზოგადოება, რომელმაც გულწრფელი ტაშით დაგვაცილოდა. მეორე დღეს პრესა მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ ხელოვნებას.

სან-დიეგო ჩვენი იმპრესარიოს ღონე ვიუზის შრომითი ქალაქია. დიდი დიდებულნი იყო ჩვენი წარმატებით, რადგან მისი ავტორიტეტი ძალიან აიწია ქალაქის თვალში.

კონცერტის შემდეგ დიდი მეუღლოთურთ მოვიდა ჩვენთან და ანსამბლის ხელმძღვანელობა რესტორანში მიგვავაძლია.

რესტორანი ჰქვია, თორემ ეს არის პატარა სოფელი, გაშენებული ზღვისპირას, არაჩვეულებრივად ლამაზი ძველებური ხის სახლებით, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სტილია აშ-

ენებული. „სოფლის“ შესასვლელში, მისი დიდი რუკა გამოკრული, რომელზედაც აღბეჭდილია ყველა სახლი წარწერით, თუ რომელი ქვეყნისაა იგი და როგორი აქვს მენიუ. მენიუში მხოლოდ თევზეულობაა. თქვენ შეგიძლიათ აირჩიოთ სახლი, რომელშიაც თქვენთვის სასურველი თევზეულობით გაგიმასპინძლებიან. ჩვენ ამოვარჩიეთ სახლი ჰავაის კუნძულებიდან. ეს იყო ხის სახლი, ლერწმით გადახურული. შინით არაჩვეულებრივი სისუფთავე და სიმშვიდე სუფევდა. კედლები მოხატული იყო იქაური პეიზაჟებით, რომელიც არაჩვეულებრივად იყო განათებული და ბუნებრივ ეფექტს ქმნიდა, სადაც უიროდანი ისმინდა მუსიკა ჰავაის კუნძულებიდან. მაგიდები, სკამები და საერთოდ ყველა ნივთი, რაც კი რესტორანში იდგა, იმ ქვეყნის ეთნოგრაფიულ ნიმუშებს წარმოადგენდა. გვემსახურებოდნენ ჰავაის კუნძულებისთვის დამახასიათებელი ნაციონალური კოსტუმები გამოწყობილი ოფიციატები. რესტორნის მენიუ ძალიან მდიდარია, იქ ყოველდღიურად შემოაქვთ თევზი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, და მენიუც ყოველდღიურად იცვლება, იბეჭდება ახალი. მოგვართვენ საუცხოო ღვინოები და ჰავაის კუნძულებისთვის დამახასიათებელი თევზეულობა. მერე სხვა ქვეყნების თევზიც მოგვიტანეს: ეს თევზი ფლიპინებიდანაა, იგი უქნაური ჯიშისაა და მხოლოდ იქაა გავრცელებული. მეორე ბრაზილიდანაა, მესამე იაპონური, ეს კობრჩხალები კი კორეისაა — გვეუბნება მომტანი.

რის“ (ყოველ შემთხვევაში იმაზე ცუდად არა, სუფრაზე ხანდახან ხელს რომ გვიშლიან).
მერე მწვრთნელი ახალ დავალებას აძლევს, ვეშაბი თითქმის მთლიანად ამოდის წყლიდან, კულზე დგება და იწყებს ცეკვას. მუსიკისა და დასარტყმელი ინსტრუმენტების აკომპანიმენტის ქვეშ.
მერე „ქასატკები“ სინქრონულად ბრუნავენ, ამოხტებიან წყლიდან და დიდ სიმძლავრეზე, ბურთებს ათამაშობენ, შემდეგ აკეთებენ საოცარ ტრიუკებს, მერე იწყებენ ხუმრობებს მაყურებელთა, ახლოს მოდიან ნაპირთან, თითქოს მათთან ლაპარაკი სურთ, როცა მაყურებელი ფეხზე წამოდგება და უკრს მიუგდებს, ფარფლებით წყალს ამოასხამენ და მაყურებელს გაუწყვენ, შემდეგ თვითონვე მზიარულად „ხარხარებენ“. ყველაფერს ამას აკეთებენ მწვრთნელის დავალებით, რომელიც ყოველი ჩატარებული ნომრის შემდეგ ვეშაბებს კოცნის და თევზს უდებს პირში.
ერთი ასეთი ნომერიც შეასრულეს: მწვრთნელი წყალქვეშ ჩავიდა, ვეშაბმა დიდი ფეხის გულზე მიბაზინა, მერე დიდი სიჩქარით გააქანა და იმ სიმძლავრე ამოხტა წყლიდან (მწვრთნელი ისევ დინგზე ჰყავდა), რომ მაყურებელს განცვიფრებისგან ოხვრა აღმოხდა. „ქასატკები“ თითოეულ ნომერს საოცარი „არტისტიზმით“ ასრულებდნენ, ტაშის ხმაზე წყლიდან ამოდოდნენ, ფარფლებს ხელებივით გულზე დაიდებდნენ და მაყურებელს თავს მდებლად უკრავდნენ. მერე გულაღმა გაგორდებოდნენ წყალზე და სიამოვნე-

მოუდგენელი და მიუწყვდომელია. აქ ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება. ამან ერთი ანეკდოტი გამახსენა: დეპუტატი ჩუქჩა ქ. ჩერენკოვში მიიწვია სახლში, როცა ჩუქჩა თავისიანებთან დაბრუნდა, კრებაზე სიტყვით გამოვიდა: «Я убедился, что у нас в СССР все делается для человека, я видел этого человека». ჩვენი კონცერტი გაიმართა პალმსპრინგსიდან ნახევარი საათის საფაზე. ეს კი ნამდვილი ოაზისია. ამ ხელოვნურ ოაზისში დგას ერთ-ერთი ულამაზესი თეატრი, რაც კი ოდესმე მინახავს. ხასხასა მწვანე ბაღებით, ყვავილებითა და პალმებითაა მოთარული თეატრის მთელი შემოგარენი.

თეატრის გარშემო ხომ ოაზისია, თეატრის უზარმაზარი ფოთი ნამდვილი სამოთხის ზღვი გვეონება: ფერადი მადრეფებით, ულამაზესი მცენარეებითა და ყვავილებით შემკული.

ეს თეატრი, საქველმოქმედო მიზნით აუშენებია ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი კომპიკსა და კინოვარსკვლავს ზომ პოუპს.

თეატრი ხალხით გაიქვდა. მოვიდა უმდიდრესი მაყურებელი.

მეორე დილით „ლოს-ანჯელესში“ — გვეგზავნენ. გზად გავცატარეს „კოვბოის“ მუსიკაში, რომელიც ცნობილია „კოვბოის“ როლების შემსრულებელმა, მომღერალმა და კომპოზიტორმა ჯინ ოტრემ დააარსა. მუსიკაში უზარმაზარი შერობა აქვს დათმობილი. აქ წარმოდგენილია, კოვბოის საბრძოლო იარაღების ნიმუშები: ძველი ინდიელების ახ-ჯარ-კაშმულობა, შუბები, დანები, მშვილდ-ისარი, ოფები, მუსიკეტი და სხვა, წარმოდგენილია აგრეთვე სანეურეო იარაღები: სახვაცის, ბარ, თოხი, ურემები, უღელი და სხვა. უღლის შეესახებ ექსპორსი-მილოლ გეგვათონა: თუ იცით, რა არის ეს? — ჩვენ თუ არ ვიცით, ამა ვინ იცის, აფერ ორასი წელია კისერზე გვადგას. — გაიცინა ამირან გოლიაძემ.

მუსიკაში ბევრია „კოვბოური“ ყოფის ამსახველი ფოტოსურათები და ტილოები, ბევრია ვიდეო-ფილმებიც. სანტერესოა ინდიელების კოსტუმები. იგი გაწყობილია სპილოს ძვლებითა და ათასნაირი ზოილ-პაპილოებით. ქულები სულ არწივის ფრთებითაა გაწყობილი. არწივის თურმე შემდგენიარად იჭერდნენ: ინდიელი მთაზე ამოთხრდა ორმოს და შიგ ჩაჯვებოდა. თავზე გადაიფარებდა ტიტებს და ზედ კრავს ან შინაურ ფრინველს დააბამდა. არწივი შეამჩნევდა თუ არა მსხვერპლს, მურღოლივით დაეგებებოდა მის ამ დროს ინდიელი ფეხებში სტაცებდა ხელს, ორმომი ჩათორევა და მოგუფავდა. შემდეგ მის ფრთებს სამკაულებიან და საომარ იარაღებს-გის ცუნებდა.


უკვე მერამდინელ ვხვდებით, რომ ყვერთ პირები, გამოჩენილი პირი-გუნდები თავანთ ფულს საქველმოქმედო საქმისთვის იყენებენ. აწინებენ თეატრებს, კულუნიებს და სხვა. ჩვენთან კიდევ, თუ რამეს იზოვიდა კაცი, რომ არ დაესაჯათ, ფულს მიწაში მარხავდა. კანონიერად ნაშოვნ ფულით, ხელფასიდან ხელფასამდელ სულა ძლივს მიგვაქვს.

ამ ქვეყანაში კი ანაზღურება ხდება გაწეული შრომის მიხედვით. დაგროვილი სოლიდურ თანხის ხალხი კეთილშობილურ საქმეებს ახმარს, ყოველ შემთხვევაში მათ სიბერე განადლებული აქვთ, პენსიაზე გასვლის შემდეგ იწყებენ ტურისტულ მოგზაურობებს, და ახალგაზრდობაში დაგროვილი ფულით დროს ატარებენ. იქაური პენსიონერების მდგომარეობა, ჩვენთან შედარებით, სრულიად განსხვავებულია. იქ ხალხი იმის იმას, რაც თავისი შრომით დაუთესია. ჩვენთან, ვინც მთელი თავისი ძალ-ღონე კომპიურნობას შეულოეს, იყვენ პირველი „სტახანოველები“ და „დამკვერები“, პენსია დაენიშნათ 40-60 მანეთი თვეში.

ანზორ აკომაიოვილი

(გაბრძელება იმანა)

სურათში: ცენონსათა ჯგუფის წევრები ამერიკელ ინდიელებთან.



გავსინჯეთ ზვიგენის ხორციც, იგი მომეყო გემოსი იყო და უსიამოვნო მეჩვენა.

მოკლედ, რესტორანს ამარაგებენ თევზეულობით მთელი მსოფლიოდან.

სან-დიეგოში 10 დღე ვცხოვრობდით, და საშუალება გვექონდა კარგად გავცნობოდით იქაურობას. იქაური ზოობარკი, როგორც გვითხრეს, ერთ-ერთი საუკეთესოა ამერიკაში. რომელი ქვეყნის ცხოველი, ფრინველსა და თევზს არ ნახავთ იქ. სანტერესოა, რომ ცხოველთა და ფრინველთა დიდი უმრავლესობა (გარდა მტაცებლებისა) თავისუფლად დანავარდობენ „თავიანთ მიედანზე“ დამთავალიერებლბთან ერთად.

დავთვალიერეთ სან-დიეგოს ცნობილი პარკი, რომელიც ქალაქის მშენებლის წარმოდგენს. ამ პარკში თითქმის მთელი დღე დავყავით, ეს პარკი კი არა ნამდვილი ბოტანიკური ბაღია. პარკში შეგიძლიათ ნახოთ რამდენიმე ატრაქციონი. ჩვენ ვნახეთ გაფრთხილი ზვიგენების ჯგუფი. 6 ზვიგენი სინქრონულად აკეთებდა ათასნაირ ტრიუკს. მწვრთნელთან ერთად ცეკვავდნენ, ხტუნავდნენ, ბრუნავდნენ, ზურგზე შეიკვამდნენ მწვრთნელს და დიდი სიჩქარით დააქროლებდნენ.

უფრო დიდი შთაბეჭდილება მეორე ატრაქციონში მოახდინა. აქ უზარმაზარი აუზია გაყვანილი იარაღებით, სადაც 5 ათასამდე კაცი ეტევა.

3 გაფრთხილი მტაცებელი ვეშაბი, — „ქასატკები“, რომელთა სიგრძე 10 მეტრამდე აღწევს, აკეთებენ საოცრებებს, ამა რა უნდა უწყოლო, როცა მწვრთნელი ვეშაბს ყურში რაღაცას წასჩურჩულებს და იგი სიმღერას იწყებს. დიან, სიმღერას, ნახევრად ამოდის წყლიდან, მწვრთნელს ხელში მიკროფონი უჭირავს და ვეშაბი „მღე-

ბისავან ფარფლებს გულზე იტყაპუნებდნენ.

სან-დიეგოდან გვემგზავრთ ქ. პალმსპრინგსში. ეს ქალაქი უდაბნოშია აშენებული. იქ პირველი სახლი აიგო 1893 წელს. ეს სახლი ახლა სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს. იმ უდაბნოში აღმოჩენილია სამკურნალო ცხელი წყლები. ქალაქი იმიტომ აუშენებიათ.

ქალაქს ერთი მხრიდან მოტიტგებული მთები აკრავს. შენობები ერთ ან ორსართულიანია, სახლები საოცარი გემოვნებითაა აშენებული. უზარმაზარი პალმები და ურგავთ ქუჩების გასწვრივ. ეზოებში დაუფენიან ბაღებიანი მიწა და სახლები ყვავილნარებშია ჩაფლული. რა არ შეუძლია კაცის ხელს, უდაბნოში ასეთი ქალაქი? საოცარიია პირდაპირ.

პალმსპრინგსი საკურორტო ქალაქია, რომელშიაც მხოლოდ მდიდრები ისვენებენ და მკურნალობენ. ახლა აქ შუა ზამთარია, ჰაერის ტემპერატურა კი პლუს 30 გრადუსამდე აღწევს.

ქალაქის ქუჩებში დადიან ძველებური ატრუქციონები თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი. ამ ატრუქციონს, „ატრომოცი“ ტრამვაის ეძახიან, — ვი ჩვენიბურ „კოვბოის“ მოგვავონებს. ატრობუსში უკრავს ძველბურე მუსიკა. მძოლავები ექსკურსიამძოლავს ფუნქციასაც ასრულებენ. ესინე სიამოვნებით გვიყვებიან ქალაქის შესახებ.

„ტრამვაის“ მძოლავმა მიგვიყვანა ქალაქის ყველაზე მაღალ შენობაშიან. იგი ოთხსართულიანი, უმაღლესი კლასის სასტუმროა. ამ სასტუმროში, — გვითხრა მძოლავმა, — ღამე ვაათია და პრეზიდენტ ბუშს შეხვდა იაპონიის პრემიერ-მინისტრი, ბუში კერძო სახლში ცხოვრობდა. პალმსპრინგსში ყველა პირობაა შექმნილი, რომ ადამიანმა კარგად დაისვენოს. ასეთი პირობები, ჩვენთვის წარ-

სიყვარული ინსნის საგუაროს

ცივილიზებული სამყაროს ქვეყნებთან პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული კავშირები დღეს ჩვენთვის უკვე თითქმის განუყოფელია. დღე ისე არ გავა, რომელიმე, კიდევ ერთი ახალი კონტაქტის შესახებ რომ არ შევიტყუოთ. ამგვარად ჩერი საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტზე მიდგა. მართალია, მისი კინოფაულტეტს უკვე აქვს საერთაშორისო ურთიერთობების მართვაში გამოცდილება, მაგრამ თეატრის მსახურით ამ მიმართებით დღემდე სასწავლო იზოლირებული უნდა იყოს. ჩვენ შორის ვიყავით იმ რეალობისაგან, რასაც უწოდებენ სტუდენტური თეატრის ეფორიას. მაგრამ თეატრის მსახურით ამ მიმართებით დღემდე სასწავლო იზოლირებული უნდა იყოს. ჩვენ შორის ვიყავით იმ რეალობისაგან, რასაც უწოდებენ სტუდენტური თეატრის ეფორიას. მაგრამ თეატრის მსახურით ამ მიმართებით დღემდე სასწავლო იზოლირებული უნდა იყოს.

ინსტიტუტის მიერ ბრწყინვალედ განხორციელებულ მოლოდინის „დონ ქუანს“ სპექტაკლმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, რომ გამჩინდა სურვილი საკუთარი თვლით მენახა ის ქვეყანა, რომელსაც ეს თეატრი წარმოადგენდა. ძალზე მოხარული ვარ, რომ სწორედ დღეს მომეცა შესაძლებლობა ჩემი სურვილის განხორციელებისა. მინდა მოგილოცოთ ყველას სახელმწიფოებრიობის ადღედა და გისურვებთ მომავალი კეთილდღეობა. მე რეჟისორი ვარ და სინამდვილეში ვიმუშავებდი თქვენს სტუდენტებთან. ვაიხლო უკვე ჩრდილო კაროლინაში ველოთ. მომავალ შეხვედრამდე!

— რატომ შეჩერდა არჩევანი მაინცდა მაინც ტენესის უილიამსის ნაწარმოებზე: ვიქტორ, იმიტომ, რომ კარგი დრამატურგიული მასალა მომავალი მსახიობის დაოსტატებისათვის, თუ უფრო თემის აქტუალობამ განაპირობა დაინტერესება?

— ირა მენაბდე — თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი: — სპექტაკლის დედამისი კაროლინას უნივერსიტეტის ხელოვნების სასწავლებელში მეორე კურსიდან იწყებენ. (სწავლების მთლიანი კურსი ოთხწლიანია) და ძირითადად კლასიკას ირჩევენ. დამაინტერესებს, რატომ უილიამსი ხომ ამერიკულ კლასიკაზე თანამდებარეობს? თანაც იგი ძალიან უკეთესი, თავად პიესაც ძალზე რთული მასალაა და შემსრულებელთაგან დიდ პროფესიულ მოთხოვნებს მოითხოვს. სწორედ ამიტომაც შეარჩიეს იგი სადიპლომი სპექტაკლად.

— ქართველ კოლეგებს სადიპლომი ნამუშევრით გაცანით, აწ უკვე კურსდამთავრებულნი ხდებიან მუშაობას, რა პერსპექტივა გეხსენებათ? ჩვენს ინსტიტუტში მამაკაცი, განათლების პრინციპი მოქმედებს. თქვენთანაც ანალოგიური პრაქტიკაა, თუ რაიმე სხვა სტრუქტურა ფუნქციონირებს?

— თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი: — არა სრული კურსის გავლის შემდეგ სასწავლებელი მოლოდინშია მშვიდობისა. ვისურვებ, უმეტესობა ალბათ დიდ ქალაქებში წავა, უფრო ნიუ-იორკს მივაშურებთ და აბსოლუტურად ინდივიდუალურად დავწყობებთ სურვეს საკუთარ კარიერაზე. ვეცდებით კონტაქტების დამყარებას მენეჯერებთან, პროდიუსერებთან, რეჟისორებთან...

— რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე თქვენ უკვე დაიწყებთ „მამულეს“. ეს სპექტაკლი ჩვენს ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა, უფრო ზუსტად, თანაკურსეულთა ძალეობით მომზადდა. ხომ არ გიფიქრიათ ახვე თქვენი ქვეყანაშიც სხვა თეატრალური ინსტიტუტის დახარჯვას?

— თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი: — როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ ვნახეთ რუსთაველი „მამულეში“. ეს შესანიშნავი ნამუშევარია და ბუნებრივია, შედეგია იმ ნაყოფიერი შრომისა, რომელსაც თქვენი ინსტიტუტი ეწევა. ამავე დროს თავად ინსტიტუტის ღონიერება გვიქმნის წარბაზს. ძალიან დიდი მადლობა თქვენს ინსტიტუტის დეკანს მოგიხდით. თქვენი ინსტიტუტის სიყვარული ნიშნავს იმას, რომ ერთი ადამიანი მეორეზე ემოციურად დამოკიდებულია. პიროვნება პიროვნებისადმი ემოციურად განსაზღვრულ-განპირობებულია. სწორედ ეს მუდმივი დამოკიდებულება, რომელიც წინააღმდეგობაშია ადამიანის მათადრულ, თანდაყოლილ მისწრაფებაში დამოუკიდებლობისაგან (რაც, საბოლოოდ მართლსაწილისათვის განწირულია) გამომდინარეობს და რომლისგანაც გამოსავალი ისევ და ისევ სიყვარულშია. განაპირობებს გაცილებით ნაყოფიერად გამოვლინებას, როგორც პოლიტიკური სოციალური თუ ფსიქოლოგიური მოტივებიც არ უნდა დავუტყუებოთ. ადამიანის სულიერი დისკომფორტი, ალბათ ყველა მათგანი მაინც იმ მარტოდ, დედუქციურ მოდელში დავიყვანებ, ასე „უბრალოდ“ რომ გამოიყურება: სახელმწიფოებრივი „ქაშინი“ ერთიანობის, სახელმწიფო „ქაშინ“ პიროვნებას, პიროვნებები „ქაშინ“ ერთმანეთს...

და აი, თეატრალური ინსტიტუტის დიმიტრი ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრი ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩრდილო კაროლინის შტატის უნივერსიტეტის ხელოვნების სასწავლებლის წარმომადგენლებს მასპინძლობს. სტუდენტმა წარმოდგინა სამომქმედებანი სადიპლომი სპექტაკლი „კატა თუნუქის გახურებული სახურავზე“, რომელიც ამერიკელი დრამატურგის ტენესის უილიამსის პიესის მიხედვითაა განხორციელებული. წარმოდგენა დადგა ნიუ-იორკში რეჟისორმა მარკ რაბინთან, რომელიც ბროდუეის ტრადიციის წარმომადგენელია. სპექტაკლში მონაწილეობენ დედოფარი, ნატაშა ლაფარაიერი, კვიდი შვიდდერი, კრისტინა ლენგი, კენტ ლანიერი, რეიმიონდ შელტონი, სკატ კლეილი, ნონიერა დებრა, სკოტ ფელიტი, პოლოტა ხუელი. მათი ასაკი ძირითადად 21-29 წელია. ჯგუფს ჩამოჰყავნენ რეჟისორ-პედაგოგები რეილან მარ-

ტინი და მერი რობერტი. აგრეთვე კაროლინას შტატის ხელოვნების სასწავლებლის ინტერნაციონალური გაცვლის პროგრამების ხელმძღვანელი, ამავე სასწავლებლის რეჟისორი ტატანა ბელიკა.

ამ შეხვედრისათვის მზადება ჩერი კიდევ შარშანწინ დაიწყო, როცა ჩვენს თეატრალურ ინსტიტუტში მიიღეს ოფიციალური წერილი იმის თაობაზე, რომ ჩრდილო კაროლინას შტატის უნივერსიტეტის ხელოვნების სასწავლებლის მესვერთ ქართველ კოლეგებთან სურათით კონტაქტების დამყარება. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა თანამშრომლობის წინადადებას. ხელშეკრულების გასაფორმებლად პროექტორი თამარ ქვარიაძე მიწვეულ იქნა კაროლინაში. მოლაპარაკების თანახმად თავდაპირველად ამერიკელები ესტუმრნენ საქართველოს.

— რატომ შეჩერდა არჩევანი მაინცდა მაინც ტენესის უილიამსის ნაწარმოებზე: ვიქტორ, იმიტომ, რომ კარგი დრამატურგიული მასალა მომავალი მსახიობის დაოსტატებისათვის, თუ უფრო თემის აქტუალობამ განაპირობა დაინტერესება?

— თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი: — არა სრული კურსის გავლის შემდეგ სასწავლებელი მოლოდინშია მშვიდობისა. ვისურვებ, უმეტესობა ალბათ დიდ ქალაქებში წავა, უფრო ნიუ-იორკს მივაშურებთ და აბსოლუტურად ინდივიდუალურად დავწყობებთ სურვეს საკუთარ კარიერაზე. ვეცდებით კონტაქტების დამყარებას მენეჯერებთან, პროდიუსერებთან, რეჟისორებთან...

— თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგი: — როგორც უკვე აღინიშნა, ჩვენ ვნახეთ რუსთაველი „მამულეში“. ეს შესანიშნავი ნამუშევარია და ბუნებრივია, შედეგია იმ ნაყოფიერი შრომისა, რომელსაც თქვენი ინსტიტუტი ეწევა. ამავე დროს თავად ინსტიტუტის ღონიერება გვიქმნის წარბაზს. ძალიან დიდი მადლობა თქვენს ინსტიტუტის დეკანს მოგიხდით. თქვენი ინსტიტუტის სიყვარული ნიშნავს იმას, რომ ერთი ადამიანი მეორეზე ემოციურად დამოკიდებულია. პიროვნება პიროვნებისადმი ემოციურად განსაზღვრულ-განპირობებულია. სწორედ ეს მუდმივი დამოკიდებულება, რომელიც წინააღმდეგობაშია ადამიანის მათადრულ, თანდაყოლილ მისწრაფებაში დამოუკიდებლობისაგან (რაც, საბოლოოდ მართლსაწილისათვის განწირულია) გამომდინარეობს და რომლისგანაც გამოსავალი ისევ და ისევ სიყვარულშია. განაპირობებს გაცილებით ნაყოფიერად გამოვლინებას, როგორც პოლიტიკური სოციალური თუ ფსიქოლოგიური მოტივებიც არ უნდა დავუტყუებოთ. ადამიანის სულიერი დისკომფორტი, ალბათ ყველა მათგანი მაინც იმ მარტოდ, დედუქციურ მოდელში დავიყვანებ, ასე „უბრალოდ“ რომ გამოიყურება: სახელმწიფოებრივი „ქაშინი“ ერთიანობის, სახელმწიფო „ქაშინ“ პიროვნებას, პიროვნებები „ქაშინ“ ერთმანეთს...

და მაინც, თუკი რამ ინსის საყვარელი, გადარჩენის კაცობრიობას, დააკვირებ ხალხებს და დაახლოვებს ადამიანებს, ისევ და ისევ სიყვარულია. სწორედ ამ სულისკვეთებითაა გამსჭვალული ჩვენი სტუდენტების ვიზიტი.

თამილა გაუაპაშვილი

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თეატრალური ინსტიტუტის პედაგოგს ქალბატონ ირა მენაბდეს სტუდენტთან გაწეული თარჯიმონისთვის.

„მანჩესტერი“, „ობერიონი“ და სხვა...

ბასული ყვირის ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხურით მოვლენა, რაღა თქმა უნდა, როტერდამში გამართული თანხების მფლობელთა თანხის ფინანსი იყო. თანხის მრავალრიცხოვანი გულშემატკივრების განაპირობებდა „მანჩესტერი“ იუნიტეტი. ლამაზ და საინტერესო ორთაბრძოლაში (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) შეხსლო „ბარსელონის“ დამარცხება — 2:1. აღსანიშნავია, რომ ინგლისელებმა თანხის დაბრუნება ვერაპის საკლებო ტურნირებზე წარმატებით დასაგვირგინეს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ბარსელონა“ ამ მატჩში იმდენ აშკარა ფავორიტად ითვლებოდა. მაგრამ მიხალე ლაუნდერის, სოსე-მარია ბაეგოს, ასტონი გოკოვიჩისა და ესპანელთა კლუბის სხვა ლიდერებს თამაში, რომ იტყვიან, საერთოდ არ წაუვიდათ. ერთადერთი მხოლოდ რომელიც კუმბის იყო იმ დღეს, რომელიც ცდილობდა ინგლისელებთან წინააღმდეგობის გაწევას. რაც შეეხება ამ უკანასკნელს, მათ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვეს და სრულიად დასახურებულად გაიმარჯვეს. ბრწყინვალედ თამაშობდნენ თეატრალური მატჩის განმავლობაში ბლეკმორი და რიბსონი, მაკლეირი და შარბი, მაგრამ ცალკე უნდა აღვნიშნოთ „მანჩესტერ თანხების“ და უელსის ნაკრების ცენტრფორვარდი მარკ პოლენი, რომელმაც ორი გატანილი ბურთის გარდა არაერთი თანხარები გაუჩინა მეტოქის მცველებს.

ამ ფაქტების ირგვლივ და ჩვენი აზრით, ცოტა სიმკაცრე რომ შეიტანონ თავიანთ დისკომფორტულ სასაქელებში, ურიგო არ იქნებოდა...

საქვე ურიგო არ იქნებოდა, რომ მე-12 ტურის ორი შეხვედრა, რომლებიც თბილისში იყო დანიშნული, სხვადასხვა დროს განაპირობებდა მსგავსი თეატრალური „მანჩესტერი“ სტადიონზე რუსთაველის „გორის“ დილამა. თელებოლა 17 სათხვე, ხოლო თბილისის „ობერიონის“ და სამტრედიის „სანაგაროს“ შეხვედრა ერთი-ერთი სტადიონი — საათზე და 30 წუთზე იყო. მართალია, რა თქმა უნდა, ორივე შეხვედრას (თავიდან ბოლომდე) ვერ დავესწრებოდით, ამიტომ მხოლოდ იმას მოვახსენებთ, რომ გორის „დილამ“ დიდის ზღვარებით ჩაატარა ეს შეხვედრა მთლიან მეთოქესთან და საბოლოოდ დაამსახურებულ გამარჯვებულმა — 3:2. გოლები გაიტანა: დავით ნუგაიძემ, პაატა მიქელაძემ და როინ მარციშვილმა (2, „გორის“). რაც შეეხება თბილისის „ობერიონის“ და სამტრედიის „სანაგაროს“ შეხვედრას, აქ თამაშის პირველი წუთებიდანვე ნათელი იყო ყველაფერი... პირველივე მეტრე სტუდენტთა კართელს შეეხებოდა ანალოგიური-ყველაშვილის კომბინაცია ამ უკანასკნელის ლამაზი თავური დარტყმით დამთავრდა — 1:0. ერთი წუთის

მომდევნო კომბინაცია გაითამაშა და ამჯერად გააჩინა გორის დარტყმა ალმონსა და ზუსტი, მაგრამ, რატომღაც, გვერდით მსაგმა ძალზედ საეჭპო (ჩვენი აზრით) თამაშარე მდგომარეობა დააფიქსირა. თუმცა, ამან „ობერიონის“ ფეხბურთელები უფრო „გააღიზიანა“ და ტანის ბოლომდე ვიდრე საბოლოო გაიტანეს „სანაგაროს“ კარში. აქედან ორი ბურთი თბილისელებმა ანალოგიურად ცენტრფორვარდის მიხილ ყაველაშვილის ანგარიშზე, ხოლო ერთი კი თემურ ქველიამ გაიტანა.

მანჩესტერის ბოლო ოცი წუთის განმავლობაში „ობერიონი“ რამდენიმე ათეული (1) აშკარა საგოლე მომენტზე შეეხებოდა მეტოქის კართელს, მაგრამ მათგან „მხოლოდ“ ორი გამოიყვანა, თანაც ორივე მეტრე ეფექტურად გამოიყურებოდა. ჩერი გელა ინალიშვილმა გამოიჩინა თ-

გი, როდესაც 30 მეტრიდან ბურთი მეტოქის კარის „ცხრიანში“ მოათავსა; მატჩის ბოლო წუთზე კი კახი ცხადამე ზუსტი პასით გარღვევაზე გაიყვანა ზაზა რევიშვილი და თბილისელთა ნახევარმცველმა სპრინტერული სისწრაფით უკან ჩამოიჭრა თავისი მეურვე და საბოლოო წერტილი დაუსვა ამ შეხვედრას — 0:0.

მთლიანობაში, „ობერიონის“ თამაში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის ფინალშიც საკმაოდ დრო არის დარჩენილი, ვფიქრობთ, პირველ ჩემპიონის თვის საპატორ ტიტულს დავცა არ გუყვარდება, ამის ნიშნად თქმის საბაბს კი, კიდევ ვიმეორებთ. „ობერიონის“ გასაზრებელი და ოსტატური თამაში ადამტურებს. ოლოდ გულშემატკივრები, რატომღაც, კვლავ „გაურბიან“ ეროვნულ სტადიონს და საყვარელ გუნდს...

დასასრულს, გავაცნობთ ამ მატჩის მონაწილე ორდების შემადგენლობას:

„ობერიონი“ (ხლადი): არჩაიანი, ცხადამე, შელია, ჯიშკარიანი (ინალიშვილი), ჩევიშვილი, ქველია, ჩიქოვანი, ჩამარული (ნემსაძე), ყაველაშვილი, გოგიჩაიშვილი.

„სანაგარო“ (გამარჯვებული): კობრიძე, ტონია, გეგეშიძე, დავითაბაგიშვილი, ლორთქიფანიძე, რუხაძე, ნოსაძე, ვ. ბრეგვაძე, დურ. თვალაბაგიშვილი, ბ. ბრეგვაძე.

30 მაისი 1991

ვაკის დახურულ საცურაო აუზში სიმაღლეში ზრდის რესპუბლიკური ცენტრი აცხადებს მსურველთა მიღებას ცნობილი მოსკოველი ექიმი-ნოვოტორის ა. ს. პალკოს მანერ შემუშავებული მეთოდით დაკომპლექტებულ ჯგუფებში.

ცენტრის ხელმძღვანელია რესპუბლიკაში ერთადერთი ექიმი-სპეციალისტი, პალკოს მიერ დიპლომირებული, თბილისში პირველი კაბინეტის დამაარსებელი თ. ვ. ქორიძე. გამოცდილი სპეციალისტების, მასაჟისტებისა და მეთოდისტების ხელმძღვანელობით თქვენ შეგიძლიათ გარდა სიმაღლეში მომატებისა, მარტივი და ორგანიზმისათვის უვნებელი მეთოდით:

- ზედმეტი წონის მოკლება;
- არასწორი დგომისა და სიარულის გამოსწორება;
- I-II ხარისხის სკოლიოზის მკურნალობა.

თქვენ გელოთ ტრენაჟორების დარბაზი და მასაჟი, საცურაო აუზი და საუნა.

იჩქარეთ! 25-დღიანი კურსის ჩატარების შემდეგ თქვენ გაცილებით უკეთ, ლამაზად და მსუბუქად იგრძნობთ თავს.

მისამართი: ი.ჭავჭავაძის პრ. №49; ტელ: 22-61-00

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

კოორდირებული ბანკი „ამირანი“ სამუშაოდ იწვევს სპეციალისტს მთავარი ბუღალტრის თანამდებობაზე. ხელფასი - გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

დამატებითი ცნობები ტელეფონით: 38-29-91.

ხალხური მედიცინისა და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის ცენტრში „იადიგარ დაუდი“

მუშაობას შეუდგა მანუალური თერაპიის სამკურნალო პროფილაქტიკური მასაჟის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი გიორგი ალავიძე, რომელიც კასიანის მეთოდით მკურნალობს ბავშვთა სქოლიოზებს, არასწორ დგომას, არასწორ სიარულს, რადიკულიტს, სახსრების ზოგიერთ დაავადებებს, აქვე შეგიძლიათ ზედმეტი წონის მოკლება, მიღება ხდება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით.

მისამართი: გალაქტიონის ქ. 3/5, ტ.: 99-75-79.

იყიდება

სარეცხი მანქანა „ვიატკა“ და პიანინო „აკორდი“.

ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონზე: 34-60-23.

ზირაბ „კუპანოვი“

ხალხური მედიცინისა და არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის საერთაშორისო ცენტრი „იადიგარ დაუდი“

გწვევთ კოსმეტის დამატარებელ კურსებზე თეორიული და პრაქტიკული მეცნიერება მოეწევა როგორც დილის, ასევე საღამოს საათებში. სწავლების ხანგრძლივობა 1,5 თვეა. კურსებს ხელმძღვანელობენ ლენინგრადის სილაშის ინსტიტუტში დიპლომირებული მაღალკვალიფიციური კოსმეტოლოგები. კურსების დამთავრების შემდეგ მსმენელები მიიღებენ მოწმობას კოსმეტოლოგის სპეციალობით. მიღება მხოლოდ წინასწარი ჩაწერით.

მისამართი: გალაქტიონის 3/5
ტ: 99-75-79

იჩქარეთ! კურსებზე მხოლოდ 30 მსმენელი უნდა ჩაირიცხოს.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

გაშენდება — უზადო, გალავნებული

მრავალდარგოვან გაერთიანება „იბერია 1991“ ში კვლავ შეუდგენენ მუშაობას უძლიერესი ბიოენერჯის მქონე ექსტრასენსები, და-ძმა ირმა და გოჩა ნადირაძეები, რომლებმაც რამოდენიმე წლის წინ პრაქტიკული გამოცდილება მიიღეს მსოფლიოში აღიარებულ ჯონა დავითაშვილთან.

ექსტრასენსებს და-ძმა ირმა და გოჩა ნადირაძეებს აქვთ უნარი ავადმყოფებს დაუსვან ზუსტი, უტყუარი დიაგნოზი და შემდეგ მკურნალობა დისტანციური მანძილიდან სათანადო მიმართულებით წარმართონ.

და-ძმა ნადირაძეები მკურნალობენ შემდეგი სახის დაავადებებს: სისხლ-ძარღვოვან დისტონიას, თავის ტკივილებს, კიდურების ტრავმის დროს ძვლის რეგენერაციის გააქტიურებას, მხედველობის დაზიანებას; გინეკოლოგიურ დაავადებებს, ღვიძლის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებებს, სმენის დაქვეითებას, უშიშრობას, უნებლიე შარდვას და სხვა.

ექსტრასენსები და-ძმა ირმა და გოჩა ნადირაძეები ავადმყოფებს ღებულობენ საქართველოს კულტურის ფონდთან არსებულ მრავალდარგოვან გაერთიანება „იბერია-1991“-ში. მიხეილ წინამძღვრიშვილის ქ. №126-ში (ყოფილი კლარა ცეცხლის ქუჩა). ყოველ დღე კვირის გარდა 17-დან 20 საათამდე. შაბათს 13 სთ-დან 15 საათამდე.

იყიდება სიმინდის ასაღები ახალი სამრივიანი კომბაინი „ხარსონეცი“.

მისამართი: ქ. ქუთაისი, გვანცელაძის 69.
ტელ. 6-59-25

შემოქმედთა საზოგადოებრივი გაერთიანება „**ქიმიკონი**“ სხვადასხვა სახის ღონისძიებებისათვის, დღესასწაულებისათვის, უცხოელი სტუმრების მიღებისათვის, წარმოება-დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, ფირმებსა და კერძო პირებს არენდით სთავაზობს კლუბის შენობას. კლუბში თქვენს განკარგულებაში იქნება საბანკეტო დარბაზი, ბარი, კეგელბანი და სხვა.

ანგარიშსწორება შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ასევე გადარიცხვით.

ჩვენს კლუბში გატარებული საღამო თქვენს მოგანიცხებთ უდიდეს სიამოვნებას.

დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 61-98-41 96-75-01

იყიდება

ავარაკი ანანურში (ორი სართული, მანსარდით). ნაკვეთით, ტყის პირას. ცნობებისათვის დარეკეთ 31-80-19.

თავისუფალი ინიციატივების ასოციაცია „**ზპარის**“ მოწვევით თბილისში შეიკარგიდან სტუმრად იმყოფება ლუცერნის დრამატული ხელოვნების თეატრი. აწ. 22 და 23 მაისს შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის დოლო ალექსიძის სახელობის სასწავლო თეატრის დარბაზში შედგება ფრანკ ვედკინდის პიესა „გამოღვიძება გაზაფხულის პირას“.

ბილეთები იყიდება სასწავლო თეატრის საღაროში. ამასთანავე 21 მაისიდან 5 ივნისამდე მედიცინის მუშაკთა კულტურის სასახლეში (ხეთაგუროვის ქ.26). ჩატარდება პრაქტიკული სამუშაოები ევროთეატრში, მსახიობის ოსტატობასა და სსცნო მუტუალებში.

ცნობებისათვის დარეკეთ: 96-01-69

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

მათთვის, ვინც სოფლის მეურნეობაშია დაამატებული!

მებაღეობისათვის და სანერგე მეურნეობისათვის გთავაზობთ ტორფსა და ორგანულ ქოთონებს.

ზემოხსენებულ „ფერმერის კომპლექტი“ უზრუნველყოფს ბოსტნეულის, ხილის, ყვავილებისა და სხვა მცენარეების ზრდას ბუნებრივ პირობებში.

გაყიდვა წარმოებს როგორც გადარიცხვით, ასევე ნაღდი ანგარიშზე.

მისამართი: ავჭილის გზატკეცილი №75-ს და №77-ს შორის მდგარი წითელი ჭიხტური წარწერით: „სამანა“. მოგვმართეთ ყოველდღე დასვენების დღეების ჩათვლით 9 სთ-დან 20 სთ-მდე.

ვიზების სათარგმნელად

მიმართეთ ფირმა „პუმანიზის“ სერვის ბიუროს. ვიზების თარგმნა და დამოწმება ხდება ერთ დღეში. უცხოეთში წამსვლელებს შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი ინკუბი და ვიზების ქსეროასლები.

შეკვეთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-დან 19 საათამდე.

მისამართი: ვახუშტი ბაგრატიონის №9 (მეტრო „წერეთელთანი“).

მიმდინარეობს მიღება მსუბუქი ავტომანქანების მძღოლთა მოსამზადებელ კურსებზე.

კურსების გადასახადი შეუმცირდებათ იმ მსმენელებს, რომლებმაც იციან ავტომანქანის პრაქტიკული მართვა და ვინც მოიტანს საჭირო რაოდენობის ბენზინს.

საბუთების შემოტანა და ცნობებისათვის დარეკვა შეგიძლიათ ყოველდღე, გარდა უქმე დღეებისა საღამოს 4 სთ-დან 7 სთ-მდე.

მისამართი: გლდანის მე-3 მ/რ. კორპუსი 74.
ტელეფონი: 68-39-30.

სწრაფად და ხარისხიანად

გთავაზობთ ინდივიდუალურ სავიზიტო ბარათების დამზადებას კომერციული ცენტრი „სილი“. შეკვეთები მიიღება როგორც ინდივიდუალური პირებისაგან, ისე ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან. მოგვმართეთ **ლესელიძის ქ.18**. ძმებ სისაურების სახელოსნო-სალონი, აქვე თქვენ შეგიძლიათ შეუკვეთოთ სასაქონლო ან საფირმო ნიშანი.

ტელ: 98-85-77

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

მაქვს ორი ერთთახიანი იზოლირებული ბინა ყაზბეგის პრ. №26-ში, ორჯონიკიძის 2/8-ში.

მსურს გავცვალო ოროთახიანი ბინაზე საბურთალოზე, ვაკეში ან მთაწმინდის რაიონში.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტელ: 38-09-74.

იასონურიდან ქართულ და რუსულ ენებზე სათარგმნელად

მიმართეთ ფირმა „არგო“-ს სერვის-ბიუროს. იასონური ენის კვალიფიციური სპეციალისტები უმოკლეს ვადებში გითარგმნიან სამეცნიერო-ტექნიკურ ლიტერატურას, სარეკლამო პროსპექტებს, ავტომანქანებისა და ტექნიკური მოწყობილობების ინსტრუქციებს, წერილებს, საგაზეთო სტატიებს და ა. შ.

მისამართი: ბუდაბუტის ქ. №1, ფირმა „არგო“-ს სერვის-ბიურო.
ტელეფონი: 27-58-25.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

სალონური პრესა

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31;
პასუხისმგებელი მდივანი — 98-31-56;
წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი „პროდის კვირაში“ საშუალოდ, ხუთშაბათს, შაბათს, რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

რედაქტორი
ვიკტორია ბალაჩივაძე

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამოცემლობა „სამშობლოს“ ხტამა თბილისი, 8. კობტავის 14; იბეჭდება ოფეტური წესით სავაჭრო კორპუსში ხოშარაულის 29.
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართი
ქ. თბილისი — 380096
მ. კობტავის ქ. № 14.